წერილის ნომერი: **18-01200703098**
თარიღი: **10/03/2020**
პინი: **8420**

ადრესატი: შპს ჯბჯ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 443867380
მისამართი: გაბრიელ სალოსის ქ.147, ბ.73

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 02 მარტის #10/01200624733-18 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ სოლომონ ფიცხელაუის 2020 წლის 18 იანვრის მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა, ფოტომასალა, ტოპო.გეგმა), რომლითაც ითხოვთ შპს ,,ჯბჯს'' სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ქერჩის ქუჩა #12 ს.კ.#01.11.05.029.184; სზ-6; სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია ნებართვა მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის თაობაზე **30.01.2019 ბრძანება #4355929**) ზეხმელი ხეების მოჭრის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი და ავარიული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით **სამსახური თანახმაა გასცეს 14 (თოთხმეტი) ძირი ზეხმელი ელდარის ფიჭვის (#1-D27.1სმ, #2-D24.2სმ, #3-D19.4სმ, #4-D20.7სმ, #5-D18.5სმ, #6-D19.7სმ, #7-D19.1სმ, #8-D15.2სმ, #9-D15.9სმ, #10-D14.3სმ, #11-D14.9სმ, #12-D17.2სმ, #13-D11.5სმ, #14-D9.8სმ) მოჭრის ნებართვა,** როდესაც დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარმოადგენთ საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვისა და მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას (ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს შეძენილი მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება).

დადგენილების 26^1-ე მუხლის საფუძველზე, გევალებათ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში იმავე ტერიტორიაზე **14 (თოთხმეტი) ძირი ფოთლოვანი ან წიწვოვანი ხის დარგვა (წიწვოვანის შემთხვევაში არანაკლებ 3.0 მ სიმაღლის, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში არანაკლებ 3.5მ, გარშემოწერილობა არანაკლებ 20 სმ).** საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში.

გასაშენებელი მცენარეების სახეობები (ვერხვის/ალვის ხის, კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვის გარდა) უნდა შეირჩეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

